ТИФЛИСЪ
Прот. Кал. о. Цинцадзе.

შინაური საქმეები.

№ 11.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲤᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 4 ᲛᲐᲜ.

წელიწადი მეექვსე.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 24 ᲛᲐᲠᲢᲘ 1913 ᲬᲔᲚᲘ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: 1) საუბრები — ა. Თ. 2) კეთილი საქმისთვის მადლობა გვმართებს — ბელი; 3) ანდრია ეპ. მოწოდება ქართვ. სახ. — ეპ. ანდრია; 4) კვირიდამ-კვირამდე —; 5) თამბაქოს ისტორია — სოლტელი სტუმარი; 6) ერის კაპის ქველმოქმედება — მედავითნე სართანია; 7) ქართული ენა სამეგრელოს სკოლებში — ილ. ენგურისპირელი; 8) კრიტიკული შენიშვნები — ხიმლელი; 9) ლია ბარათი — მღ. იასონ აბესაძე; 10) წერილი რედაქციის მიმართ — მღ. ს. მაჭარაშვილი; 11) მადლობის გამოცხადება.

ᲛᲘᲜᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ᲬᲚᲘᲗᲐᲓ ᲤᲐᲡᲘ: 4 მანეთი. || ᲗᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: 2 მანეთი. || ᲗᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: 1 მანეთი. || ᲗᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: 2 აბაზი.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲛᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲐᲠᲒᲘᲚ ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲘᲡ

საუბრები

მეხუთე საღამო.

რა არს კაცი?

დღეს მთელი საზოგადოების დასწრებით დამარხეს ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც ავადმყოფობის გამო სამხედრო სამსახურიდან გამოვიდა. ამიტომ, როცა ორივე ქვისლი მღვდლის სახლში მოვიდნენ, დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ სიკვდილმა ძალიან ადრე მოსწყვიტა ყმაწვილი კაცი, რომ მას კიდევ დიდი ხანი უნდა ეცხოვრა ქვეყანაზე. რა არის კაცი, წამოიძახა პეტრემ დაიწყებს თუ არა ცხოვრებას, მაშინვე სიკვდილი ეწვევა? „დღეს კარგად ხარ და სალად, ხვალ კი კვდები", სთქვა თომამ. მაგრამ კაცნი ძალიან შეიყვარებენ ხოლმე საკაკოა სიცოცხლეს და სულაც არა ფიქრობენ, როგორ ჩქარა მიდის ხოლმე იგი.

მღვდელი: მაგრამ საკითხს: რა არს კაცი? სხვა აზრიც აქვს გარდა იმისა, რომლითაც ეხლა თქვენ ის იხმარეთ. სიტყვებს: „რა არს კაცი" შეიძლება ჰქონდეთ ასეთი აზრიც: როგორ მაღლა სდგას კაცი შედარებით პირუტყვებთან და სხვა ქმნილებებთან? ეს საკითხი ეხლანდელს დროში ძალიან დიდია და შესაფერი, მიტომ რომ არიან კაცნი, რომლებსაც, როგორც წუხელი ვთქვით, სიხარულით ჩამოჰყავთ თავისი თავი პირუტყვებამდე. აი ამიტომ დღეს მე მინდა ვილაპარაკო **კაცის მაღალს ღირსებაზე.**

თომა: ეს მართალია; მაგისთანა გაკვეთილი განსაკუთრებით საჭიროა ჩემთვის, რადგანაც ძალიან ხშირად მესმის ხოლმე, რომ კაკობრიობა არის მხოლოდ უმაღლესი ჯიშის ცხოველი და ამიტომ თვითეული უნდა დასტკბეს მხოლოდ საკაკო ცხოვრებით.

მღვდელი: მე დავამტკიცებ წინააღმდეგს: მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ 1) **კაცი პირუტყვებზე მეტია.** მართალია კაცს აქვს ზოგი რამ პირუტყვისა, მაგრამ მას აქვს ზოგი რამ ღვთისგანაც. პირუტყვის მსგავსად ხდის მას, ან პირუტყვობამდე ჩამოჰყავს იგი ხორცს. მაგრამ პირუტყვზე მაღლა აყენებს მას და არსებითად არჩევს პირუტყვისაგან სული, ცხოველი მხარე კაცისა. ახლა შევხედოთ აცსაც და პირუტყვსაც; როგორ განსხვავებას ვხედავთ ჩვენ აქა! კაცში ჩვენ ვხედავთ, რომ ის თანდათან წინ მიდის, ვითარდება, პირუტყვი კი სულ ერთსა და იმავე საფეხურზე რჩება. საზრდოდ და სიცოცხლის შესანახად კაცი სულ ახალ-ახალ რამეს იგონებს, უმჯობესდება სამზარეულო და საეკონომო ხელოვნებაში. პირუტყვი კი ამ მხრივ ერთს წერტილზეა გაჩერებული. ძალი სჭამს იმ ხორცის ნაჭერს, რომელიც მიუგდეს; მას არ შეუძლია ის როგორმე სხვანაირად მოამზადოს. ის დღესაც ისე სვლეპავს სასმელს, როგორც ათასი წლის წინეთ; ამ მხრივ მას ერთი ნაბიჯიც არ წაუდგამს წინ. ასეთსავე განსხვავებას ვხედავთ ჩვენ ტანისამოსის და საცხოვრებელ ბინის შესახებაც. კაცი იგონებს სულ ახალ-ახალ ქსოვილებს თავის ტანისამოსისთვის და შეუხამებს ხოლმე თავის ტანს, იგონებს ახალ ფორმებს და მოდებს. პირუტყვს კი ყოველთვის ერთი და იგივე სამოსელი აქვს, რომელიც მისთვის ბუნებას მიუცია. იმ დროს, როცა კაცი იჩენს თვისი საცხოვრებელი ბინის აშენებაში დიდს ხელოვნებას და სხვადასხვა ფორმებს, თანდათან უმჯობესდება ხეროთმოძღვრულს ხელოვნებაში, პირუტყვი თანახმად თვისის ალღოსი, ეხლაც ისეთს სადგომ ბინას იკეთებს, როგორც ამ ათასი წლის წინეთ. როგორს დიდებულს განვითარებას იჩენს კაცი გალობაში და მუსიკაში! პირუტყვებს მუდამ ერთი და იგივე კილო აქვთ; აქ ლაპარაკიც კი არ შეიძლება დამოუკიდებელს წარმატებაზე. რაღა უნდა ვთქვათ, როცა ვხედავთ კაცის წარმატებას გამოგონება-აღმოჩენებში? როგორ შორს წავიდა იგი აქ! დაწყებული ქარის და წყლის წისქვილიდან ორთქლის მანქანებამდე, ყველა ხელოვნურ მოწყობილებით! ელექტრონის აღმოჩენა და მისი მოხმარება ტელეგრაფისა, ტელეფონისა და სინათლისთვის! სადა ვნახავთ ჩვენ ამის მსგავს რამეს პირუტყვებში? თუნდაც სულ მცირედ მაინც არაფერი ამის მსგავსი არაოდეს არ მოუხდენიათ სულ უსულოებს პირუტყვებს, მაინუნდ ამაც კი. და ამის შემდეგ

ჩვენ გვეუბნებიან: კაცი პირუტყვზე მეტი არ არისო.

პეტრე: სულ დიდი წინააღმდეგობაა კაცსა და ცხოველს შუა და ამ წინააღმდეგობას საფუძველი აქვს იმაში, რომ კაცის სული სხვაა, ვიდრე პირუტყვისა.

მღვდელი: კაცს აქვს სულიერი სული, ცხოველს კი არა აქვს იგი, ამიტომ მას არც შეუძლია წინსვლა და შემდეგი განვითარება მისთვის შეუძლებელია. პროგრესი, ანუ წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც არის გონება, და თავისუფალი ნება, რაც, როგორც ვიცით, პირუტყვებს არ აქვთ. კაცს შეუძლია იცნოს საგნები, შეადგინოს მათ შესახებ ცნება, მიხვდეს სულიერ საგნებს და მსჯელობა იქონიოს მათ შესახებ. მას აქვს თვითშეგნება მაშინ, როცა პირუტყვს ეს არ შეუძლია. მას არა აქვს სულ უბრალო ცნებაც კი, მან არ იცის, მაგ. რა არის ღმერთი, რა არის სათნოება, მას არა აქვს არავითარი წარმოდგენა კეთილსა და ბოროტზე, მშვენიერზე და საძაგელზე. ცხოველმა არ იცის სულ უბრალო თვლაც კი. თუ იტყვიან ხოლმე ზოგიერთი ცხოველის შესახებ, რომ მას შეუძლია თვლა ან თავის ქნევით სწორე პასუხის მიცემა კითხვებზე, ეს არის მხოლოდ მექანიკური გაწვრთნა შინაგანის შეუგნებლად; როცა მათ სხვანაირად ეკითხებიან ხოლმე და არა ისე, როგორც ეკითხებოდნენ წვრთნის დროს, მაშინ ისინი ან სულ სხვა პასუხს იძლევიან, ან სრულიად არაფერს პასუხს არ იძლევიან.

პეტრე. ამაში მე დავრწმუნდი, როცა თვითონ თვალყურს ვადევნებდი გაწვრთნილ პირუტყვებს.

მღვდელი. როგორც არსებითად განირჩევა კაცი ცხოველისაგან გონებით, ისევე განირჩევა თავისუფალი ნებითაც. კაცს შეუძლია **ისურვოს**, ე. ი. მას შეუძლია თავისუფლად აირჩიოს ესა თუ ის, დამოუკიდებლად ჩაიდინოს ეს თუ ის საქმე მან. შეუძლია, მაგალითად, როცა შია, მიიღოს საჭმელი ან უარი სთქვას მაზედ. ცხოველს კი ეს არ შეუძლია თავის თავად. მოხდება ხოლმე, რომ ძაღლი არ ეკარება ხორცს ან პურს, თუმცა კი შია; მაგრამ ამას ეს თავისი შინაგანი ნებაყოფლობით ან გადაწყვეტილებით კი არ სჩადის, არამედ მიტომ, რომ პატრონისა ეშინია. ხოლო, როცა მას არავისი შიში აქვს, მაშინ ის გამხეცებული მივარდება ხოლმე ამ ნაჭერს და აღარ შეუძლია წინააღუდგეს თავის სურვილს. პირუტყვი იქცევა ასე თუ ისე ალღოს ძალით, გარედან იძულებით, კაცი კი მოქმედობს ასე თუ ისე თავისი ნების ყოფით, შინაგანი გადაწყვეტილებით. კაცი რასაც ფიქრობს, რაც სურს ან არა სურს, შეუძლია გამოსთქვას ენით, სიტყვით, და ამითი ის სრულიად არსებითად განირჩევა პირუტყვისგან. პირუტყვი გრძნობს სიხარულს ანუ მწუხარებას და გამოხატავს ხოლმე კიდეც ამ სიხარულს ან მწუხარებას, მაგრამ ცხოველს არა აქვს არაფერი აზრები და ამიტომ არც ენა და თუ თუთიყუშებზე ამბობენ, რომ ისინი ლაპარაკობენო, ამას არ შეიძლება ეწოდოს ენა, ან ლაპარაკის ნიჭი; ეს არის მხოლოდ მაიმუნობა შეძენილი წვრთნით, მექანიკური მიბაძვა კაცის ენისა. კაცს კი განვითარების სულდაბალ საფეხურზედაც კი აქვს ენა და ეს ენა არის გამოხატვა გონებისა.

თომა: მე არ მეგონა, რომ შეიძლებოდა ასე ბევრი საბუთების მოყვანა დასამტკიცებლად იმისა, რომ კაცი ასე მაღლაა ცხოველზე. როცა ურწმუნოების ლაპარაკს ყურს უგდებ, გგონია, რომ მათი საქმე უეჭველად მართალია, ქრისტიანული მოძღვრება კი უსაბუთო ლაპარაკია.

პეტრე: ნამდვილად კი, როგორც ვხედავ, ეგრე არ არის. ქრისტიანობის მოძღვრების დამტკიცებაც შესაძლებელი ყოფილა, პირიქით ურწმუნოების მოძღვრება არის მხოლოდ აზრები და შეხედულებანი, რომლებსაც არა აქვთ დამამტკიცებლობის ძალა და მოკლებულნი არიან საბუთიანობას.

მღვდელი: ქრისტიანობის მხარეზე დგანან დიდი სწავლულები, რომლებიც საქმეს ეპყრობიან საბუთიანად და მოძღვრებას არ ღებუ-

ლობენ ბრმად. ამა კიდევ განვაგრძოთ გარკვევა საკითხისა: რა არის კაცი? მე ვამბობ:

2) კაცი არის მეფე ქმნილებათა, ე. ი. ის ბატონობს მთლად ხილულ ქმნილებებზე. ერთი მარტო გარეგანი შეხედულობა კაცისა ამტკიცებს, რომ ის არის მეფე და ბატონი. მაშინ, როცა ცხოველები დაბლა იცქირებიან, კაცი მაღლა იხედება, რომ მთელს ხილულს ქვეყანას გამოუცხადოს: მე გაჩენილი ვარ მაღალი ქვეყნისთვის, მე მემორჩილება ხილული ქმნილება. აგებულობა კაცის სხეულისა ამტკიცებს, რომ კაცი გაჩენილია ყველა სხვა ქმნილების ბატონად. შემდეგ, სულ განსაკუთრებული აგებულობისაა კაცის ხელი, რომელიც ხდის მას ქმნილებათა ბატონად. მაშ რის გაკეთება შეუძლია კაცის ხელს, რომ იბატონოს ქმნილებაზედ, რომ მისცეს მას უფლება და უპირატესობა ყველა ქმნილებაზე? წარმოიდგინეთ დიდებული გამოფენა მრეწველობისა და თქვენ საკმარისი საბუთი გექნებათ იმისა, რომ კაცს შეუძლია მიაღწიოს ყოველსავე. მაგრამ კაცის სული ამას ვერ მოიმოქმედებდა, მისთვის რომ არ ეხელმძღვანელა მოაზრე გონებას. აი ამიტომ მე ვამბობ: როგორც მეფე ქნილებისა, კაცი თავს იჩენს განსაკუთრებითი გონებით და თავისუფალი ნებით. გონებით და ნების ენერგიით, ის იმორჩილებს სულიერს და უსულო ბუნებას. მან იცის გაპოხიერება და განაყოფიერება მიწისა და იქიდან გამოტანა სარგებლობისა. ის ჩადის მიწის წიაღში და იქიდან ამოაქვს ის, რაც ძვირფასია. იარაღით ის თვალს ადევნებს ცის ვარსკვლავებს, აღმოაჩენს ახალ მნათობებს, იკვლევს მათს სიშორეს ერთმანეთისაგან და მოძრაობას, სიჩქარეს. შევხედოთ ახლა სულიერს ბუნებას. რომელია ისეთი პირუტყვი, რომ კაცი არ ბატონობდეს მაზედ, რაც უნდა ძლიერი და ზოროტი იყოს ეს ცხოველი? ლომი, სპილო, ვეშაპი, დიდი გველი და ყველა ამისთანა ბუმბერაზებს აწყნარებს და იმორჩილებს კაცი. განა ეს იმას არ ამტკიცებს, რომ კაცი პირუტყვებზე მაღლა სდგას? მოიპოვება სადმე იმისთანა პირუტყვი, რომელსაც შეეძლოს სულ მცირედ მაინც რასმე ამის მსგავსს მიაღწიოს? რამდენიც უნდა ეცადნენ და ღონის ძიება იხმარონ მაიმუნის აღსაზრდელად, რომელიც ყველაზე უფრო ძალიან გავს კაცსა, ის მაინც ვერაოდეს ვერ გაუთანასწორდება კაცს. მხოლოდ მარტო კაცია და ყოველთვის დარჩება ხილული ქვეყნის მეფედ.

პეტრე: ბევრს კაცზე მართლდება საღვთო წერილის სიტყვები: **კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა ჰყო.** როგორ მაღლა დაადგინა იგი ღმერთმა ყოველსავე წარმავალზე! **ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგნურთა და მიემგზავსა მას** (ფსალმ. 48, 13).

მღვდელი: თქვენი შენიშვნა სრულიად სამართლიანია. მაგრამ კაცი იმაზე უფრო მეტია, რაც ვთქვი; მე ვამბობ:

3) კაცი არის უფალი თავის თავი. მას შეუძლია იბატონოს თავისთავზესა, ე. შეუძლიან მამის მყოფ დაბალეზე პირუტყვის მსგავსს კაცს უთხრას: შენ არ უნდა იყო მასწავლებელი, შენ უნდა დაემორჩილო სულს. მას შეუძლია უბრძანოს თავისს ვნებათა და ცუდ მიდრეკილებათა: ამ საზღვარს ნუ გადასცილდებით. ამის შესახებ მშვენივრად ამბობს ერთი ეკლესიის მოძღვარი: კაცში სცხოვრობს თვისება მხეცისა, ამიტომ მას, როგორც მხეცს აქვს ნიჭი ხორციელი სიამოვნებისა; მაგრამ მისი კაცური ბუნება არ არის ჩანთქმული მხეცურით, არამედ თვითონ ის ამაღლებულია პირუტყულ მხარეზე და იმორჩილებს მას. კაცს აკეთილშობილებს გონიერი სული; ეს უკანასკნელი აძლევს მას კაცურს ხასიათს და არსებითად ახვავებს მას პირუტყვისაგან.

თომა: კარგად არის ნათქვამი, მაგრამ მე მაგონდება, წამიკითხია ერთს ფურცელში, რომ ცნობილი დოქტორი რ. ერთს ლიბერალურს კრებაზე მანჰეიმში ამტკიცებდა (11 იანვარს 1894 წელს), რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება სულის ხორცზე ბატონობის შესახებ, მისი აზრით, უეჭველია და ყველა თვის სხეულზე დაკვირვებით დარწმუნდება, რომ უფრო ხორცი ბატონობს სულზე, და არა სული ხორცზე.

ა. პ.

(შემდეგი იქნება).

კეთილი საქმისათვის მადლობა გვმართებს!

კეთილი და საზოგადო საქმისათვის მადლობა გვმართებს, რაც გინდა მცირე იყოს ეს კეთილი საქმე. დღეს მაინც, როცა ენაპირტალა ქვეყნის მოქმედები, რომლებსაც არაფერი საგრძნობელი ნივთიერი და ზნეობრივი სარგებლობა არ შეაქვთ ხალხში და, თავის ენაპირტალობით მხოლოდ, დიდ სახელს და მადლობას იმსახურებენ, დღეს მაინც განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან ის პირები, რომლებიც არ ყვირიან და თავის ძალღონის მყუდრო შესაფერად ემსახურებიან საზოგადოებას. შეიძლება ასეთი მყუდრო ქველმოქმედები არც კი თხოულობდენ არავითარ ზნეობრივ ჯილდოს, და ეს ძალიან ხშირი მოვლენაც არის, მაგრამ მართებულობა მოითხოვს საზოგადოებამ ან მის მაგიერ ახლობელმა მართებულობამ ჯეროვნად დააფასოს მისი სამსახური სხვის წასაქეზებლად მაინც. მაგრამ ეს, როგორც ათასჯერ მოგვიხსენებია, არ ხდება ჩვენში, ჩვენში, რაღაც ვამოურკვეველი მიზეზების გამო ნაკლებად ფასდება ადამიანის საზოგადო სამსახური თუ იგი მცირეა გარეგანი შეხედულობით, ან თუ სადმე დიდ ქალაქებში არ ხდება რომელიმე საზოგადო დაწესებულების სახელზე და ან თვით შემწირველი უჩინარი, პატარა კაცია. განსაკუთრებით ასეთი არა სასურველი და პირდაპირ საქმის მაზარალებელი ამბავი ხდება ჩვენ სასულიერო უწყებაში, რაც ძალიან სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. ამ ჟამად მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელიც ამ მხრით ახასიათებს ერთ სასულიერო დაწესებულებას, რომელიც სათავეში უდგია მთელ ეპარხიის სამრევლო შკოლებს და რომლის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს ამ შკოლების ნივთიერ მდგომარეობის შესაფერ სიმაღლეზე დაყენება.

განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის დროს აზ. ილარიონ ო—ძე გამყრელიძემ საჩხერის ოკლესიან სამრევლო შკოლას 130 საჟენი მიწა შესწირა ისეთ ადგილზე, სადაც დღეს (და მაშინაც) საჟენი მიწა თუმანი ღირს. მაშინვე გააშენა სოფ. კვერეთში ეკლესია. განსვენებულმა მღვდელმთავარმა გაბრიელმა ასეთი შეწირულებისათვის მადლობა გამოუცხადა ბ. ილარიონს და ჯილდოდ ანნას ორდენი გამოუთხოვა.

ასეთი ყურადღებით წახალისებულმა ქველმოქმედმა კიდევ შესწირა იმავე შკოლის ეზოს გასაფართოებლათ, რადგან ეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, 201 საჟენი მიწა უფრო ძვირფასი პირვანდელ შეწირულზე. ეს მოხდა ამ ახლო ხანს და ამის თაობაზე არაფერი მოხსენებია სათანადო მთავრობას და არც საზოგადოებას და ეს დიდ მიწყენათ უნდა ჩაეთვალოს დღევანდელ სამოსწავლო საბჭოს მისი მეთვალყურით და სკოლის გამგით. დღეს ისეთ დროში ვართ, როცა ადამიანის პიროვნება და მისი სარგებლობა პირველ პლანზეა წამოყენებული. დღემდის პიროვნება არ სჩანდა საზოგადოებაში, დღეს კი საზოგადოება დაფარა კერძო პიროვნებამ, და მიზეზიც ეს არის, რომ საზოგადო თავდადებული მოღვაწეები და ქველმოქმედები აღარ გვყავს. ამიტომ საჭირო იყო სათანადო დაწესებულების უბრალო მადლობა მაინც გამოეცხადებია პრესის საშუალებით.

აგრეთვე უნდა უსაყვედუროთ ადგილობრივ ბლაღოჩინს, რომელიც ვალდებულია ყურადღება მიაქციოს, ვინ რას აკეთებს მის საბლაღოჩინოში. მაგ. იმავე ბ. ი. გამყრელიძემ ორი ფრიად კეთილი საქმე ჩაიდინა საჩხერის საბლაღოჩინო ოლქში: 1) ჯრიის ეკლესიას შესწირა გალავნათ ორი ქცევა ადგილი და უფასოთ დაუთმო ყოველივე ქვის და ხის საშენი მასალა და 2) გორის ჯვარზე, სადაც ყოველ ათ ნოემბერს აუარებელი მლოცველი იყრის თავს, ააშენა მლოცველთათვის თავშესაფარი სახლი. ჯერიყო ეს არა მცირე შეწირულებაც მოხსენებულიყო სადმე. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ბ. ილარიონის შეწირულება წმინდა უანგარო და იგი არავითარ ჯილდოს არ თხოულობს თავის თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ, ვიმეორებ, მართებულობა მოითხოვს და ჩვენი მოვალეობაა აღვნიშნოთ და ქვეყანას ვაცნობოთ ყოველივე,

რაც საზოგადო საქმეს ასე თუ ისე ეხმარება და წინ სწევს. ბ. ილარიონის შეწირულება არც ისე მცირეა, რომ ამის ღირსი არ იყოს. ნუ დავივიწყებთ ამასთან იმასაც, რომ ეს შეწირულება, რაც უნდა მცირეთ შევრაცხოთ იგი თავის რაოდენობით, მაინც დიდია თავის განზრახვით, რადგანაც ეს მოხდა არა რომელიმე დიდ ქალაქში, მოქალაქეთათვის, არამედ იმ სოფლის ხალხისთვის, რომლის გულისთვისაც ასე ბევრს ყვირიან და ასე ცოტას აკეთებენ.

ხელი.

ანდრია ეპისკოპოზის მოწოდება ქართველ საზოგადოებისადმი

მივმართავ ყველას, ვისაც ესმის ქართული და მეგრული, მაგრამ არ იცის რუსული ან სლავიანური. განსაკუთრებით ვთხოვ ყურადღება მიაქცევენ ქვემორე ნათქვამს იმათ, ვინც ორგზის უკვე ლოცულობდა ჩემთან ერთად 14 იანვარს წმ. ნინოს დღესასწაულის დღეს.

დაიწყო დიდმარხვა. გულწრფელი, კეთილი მართლმადიდებელი ქრისტიანენი მიისწრაფვიან ამ ქამად ღვთის ტაძარში, რათა გულმოდგინედ და გულმხურვალედ განიცადონ ლოცვის სიტკბოება; მიისწრაფვიან იგინიც, ვინც არ იცის საეკლესიო—სლავიანური ენა, ქართველები ჩემთან ჯვარის ეკლესიაში მოდიან. საბრალონი! მათ სრულიად არ ესმით ლოცვის სიტყვები, ვერ მოისმენენ თავის საეკლესიო გალობას, რადგან დიდმარხვის მეორე კვირიდანვე მღვდელმსახურება სლავიანურ ენაზე სრულდება, ვინაიდან ყოველად შეუძლებელი გახდა ქართულ ენაზე მისი მოწყობა. და დგანან ჩემი მლოცველები ეკლესიაში, როგორც უდაბნოში, და არა გაეგებათ რა იმისა, რაც მათ ეურს ხვდება. ამ დღეებში მათ ძვირფასი საჩუქარი მოართვეს ჯვარის ეკლესიას—ხატი მოციქულთა სწორის წმ. ნინოსი. ამ ძღვენსა ამოდებინა ხელში ვალამი და დამიყენია ერთხელ კიდევ ვსკადო სოხუმში ქართული ეკლესიის აშენების საქმე იმათთვის, ვისაც მხოლოდ ქართულ ენაზე შეუძლიან ლოცვა-ვედრება.

ორი წლის განმავლობაში, ყოველ 14 იანვარს მე მილაპარაკია ასეთი ტაძრის აშენების საჭიროებაზე; მაგრამ უნდა ვსთქვა სამწუხარო სიმართლე, რომ ჩემმა თანამლოცველებმა და მსმენელებმა წმ. ნინოს დიდ დღესასწაულის დღეს შეაგროვეს ბევრი, მაგრამ არა მათი მფარველი წმიდანის ეკლესიისთვის, არამედ სულ სხვა რამესთვის.

ამნაირად, ერთი რამ უსაჭიროესი დავიწყებულია და არც არავინ იტკივებს თავს ამ წმიდა საქმის მოსაგვარებლად. საკოდავი მეგრელები დღემდე, თურმე, საკმაოდ არიან უზრუნველყოფილნი სხვადასხვა ნაირ სამიკიტნო დუქნებით (უკანასკნელ დროს თეატრითაც), მქადაგებლები და ღვთის მცნების მასწავლებელნი კი აკლიათ. რასაკვირველია, მეტათ ბევრი ისტორიული და რთული ისტორიული მიზეზის მეოხებაა ის მოვლენა, რომ დღეს რუსეთში ასეთი სისწრაფით იკიდებს ფეხს სამიკიტნოების კულტურა, ხოლო ჩვენში, კავკასიაში კი, მართლმადიდებელნი ივიწყებენ ქრისტიანულ სახელს, თუმცა გულმოდგინება რომ იყოს, სოხუმლები ოთხიხუთი წლის განმავლობაში ნახევრათ მაინც მოჰყრიდნენ ქართული ეკლესიის შენობას. ჩვენი სულიერი უმოძრაობის მიზეზი ჩვენვე ვართ, არა თუ სხვა ვინმე. შესძლო ხომ რამოდენიმე მოხუცმა ქალმა ძვირფასი ხატის გაკეთება! რისთვის არ მოჰკიდებენ დანარჩენები ხელს შემოწირულების შეგროვებას ტაძრის ასაგებათ?

ძმანო, პირუთვნელად აღვიაროთ: სიტყვით ვართ მხოლოდ ქრისტიანები თუ საქმითაც? სად არის იგი? თქვენ თაყვანს სცემთ წმ. ნინოს? გვიჩვენეთ როდის და რითი გამოიხატება ეს თაყვანისცემა?

ძვირფასნო ჩემნო! ვისმე აუგად კი არ ვამბობ ამას, არამედ კეთილ საქმეზე წასაქეზებლად, დაიწყოს ვინმემ ეს კეთილი საქმე—ქართული ეკლესიის აგება. სოხუმმა ღირსეული მაგალითი უნდა მისცეს დანარჩენ ეპარქიას.

ეპ. ანდრია.

კვირიდან-კვირამდე.

— —

21 მარტს დღით ხუთშაბათს ქ. ბათუმში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა ჩვენი პუბლიცისტი და სახელოვანი მამულიშვილი არჩილ ჯორჯაძე, რომლის უდროვო სიკვდილმა თავზარი დასცა ქართველი ინტელიგენციის, ისედაც პატარა ჯგუფს, რომელთა შორის განსვენებული ცნობილი იყო თავის ყოველმხრივი განვითარებით.

— —

კვირას 7 მარტს ქუთაისის ყველა ეკლესიებში მისი მეუფების ყდ. სამღვდელო გიორგის ბრძანებით გადახდილ იქმნა სამშვიდობო პარაკლისი მეფის მოადგილის ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის ავათმყოფობის გამო.

—

როგორც გაზეთებიდან ვტყობილობთ წელს სამღვდელოების დამატებითი ჯამაგირის გადაწყვეტილი წლიური ექვსასი ათასი მანეთისათვის ცხრაასი ათასი მანეთი კიდევ დაუმატებიათ იმ მიზნით, რომ მალე დააკმაყოფილონ უჯამაგირო სამღვდელოება.

ამნაირათ, თუ გაზეთები მართალს გვეუბნებიან, მღვდლების დასამატებელ ჯამაგირათ ხაზინა მილიონ ხუთასი-ათას მანეთს გამოსცემს წელიწადში.

— —

ქართველ საზოგადოებაში აღიძრა სურვილი შოთას დაუდგან ძეგლი თფილისში, მისი სიკვდილიდან 700 წ. გასვლის აღსანიშნავათ

— —

„ს. პეტ. სამეცნიერო აკადემიას სვანეთის ეკლესიების ბლაღოჩინის მ. ბეს. ნიკარაძისთვის მიუნდვია სვანეთის ხელნაწერები წმ. კვირიკეს ეკლესიაში შეაგროვოს, რომ ისინი არ დაეკარგოს მეცნიერებას. ხელნაწერების შესანახ შკაფების შესაძენათ ზემოხსენებულ აკადემიას ფული კავკასიის ნამესტნიკისათვის უთხოვია და ამჟამად მიწერმოწერა უკვე სწარმოებს.“

„იმავე სამეცნიერო აკადემიას იმავ ბლაღოჩინისაგან შეუძენია სვანურ-ქართული ლექსიკონი და სახალხო სიმღერები, რომელსაც სამეც. აკადემია გამოსცემს აკადემ. ნ. მარის რედაქტორობით.

— —

ბათუმში მთავარანგელოზ მიხეილის სახელობის სობოროში მედავითნეებმა უნგიაძემ და ჩანუკვაძემ საკურთხეველში ჩხუბი ქნეს იმ დროს როდესაც ტაძარი მლოცველებით იყო სავსე. ჩხუბი მოუვიდათ იმის თა-ბაზე, თუ ვის შეედგინა აღსარების მთქმელთა სია, რომელის შემოსავალი ჩამწერის სასარგებლოთ მიდის, მოჩხუბარმა მედავითნეებმა ჩასპიდეს ერთმანეთს ხელე თმაში და ყვირილით გამოვარდენ შუა საყდარში. ერთმა მედავითნეთაგანმა დაკბინა მეორე სახეზე და თითი მოტეკვირა.

ქალები შეშინებულნი გამორბოდენ საყდრიდან. მამაკაცები ერთ ხანს თვალს ადევნებდენ ჩხუბს, შემდეგ კი გააზავეს მედავითნეები (P. C.).

— —

როგორც სახალხო გაზეთს გაუგია პიატიგორსკის ეპისკოპოზი დავითი ისევ ალავერდის კათედრაზე გადმოყავთ

— —

პეტერბუგის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ რომანოვთა საგვარეულო დღესასწაულის აღსანიშნავათ სინოდმა მიწერილობა დაუგზავნა **ეპარქიის უფროსებს**, წარმოუდგინონ ცნობები იმ სამღვდელო პირთა, რომელთაც სასჯელისათვის შეწყვეტილი ქონდათ ჯარიმა და არ გადაუხდიათ. იმ პირთ სინოდი ან სულ აპატიებს ჯარიმას ან და შეუმცირებს.

— —

ახალგაზრდა მკვლევარმა ს. კაკაბაძემ თბილისში წაიკითხა მოხსენება სამეცნიერო საზოგადოების კრებაზე, რომელშიდაც ამტკიცებდა, ვითომც შოთა რუსთაველი თამარის დროს კი არ ცხოვრობდა, არამედ მეთუთხმეტე საუკუნეშია და ვეფხვის ტყაოსანში თამარ დედოფალს კი არ ამკობს, არამედ ისტორიაში სრულიად უცნობს აფხაზეთის სამეფო სახლის შვილს თამარსო. საზოგადოება უკმაყოფილოთ დაიშალა მეცნიერის ასეთი კრუპენტელობით.

— —

სინოდს ქონდა ბჭობა იმის შესახებ, რომ გამოენახა რაიმე ზომები ათონის მონასტრის ბერის ანტონი ბულატოვიჩის პეტერბურგიდან გადასასახლებლათ, რომელიც ამ ჟამათ იქ ამყოფება, და რომელმაც ხელი შეუწყო წიგნი „На горахъ Кавказа“-ს გამოცემას, რომელშიდაც მოთხრობილია ათონის მთაზე არეულობის ისტორია. სინოდმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მან დახმარება აღმოუჩინოს სინოდს ამ საქმეში.

— —

როგორც გადმოგვცემენ, 25 მარტს ალექსანდრე ნეველის სახელობის საეანის 200 წ. აღნიშვნის დღეს გამოქვეყნებულ იქნება ამ საეანის არხიმანდრიტის მიტროპოლიტ ელადიმიოის სახელზე უქაზი, რომელშიდაც ჩამოთვლილი იქნება ამ საეანის სახელმწიფოსა და ეკლესიის ისტორიაში დანაშსახური. ამავე დროს მიტროპოლიტ ელადიმერს გამოუცხადებენ მონარქის წყალობას და ყველაზე უმთავრესი მათ შორის, როგორც გადმოგვცემენ, იქნება მისი საპატრიარქო კათედრაზე აყვანა.

— —

15 მარტს დღით პარასკევს ნაშუადღევის პირველ საათზე უკაბედათ გაჩენია ცეცხლი ს. ინაშაურის ღვთის მშობლის ეკლესიის მედაეითნე გაოიზ ლეონტის ძე ძიგრაშვილის სახლს და ყველაფერი გადაწვა. ზარალი ორი ათას შინგის ოღვანტება. სასურველია საზოგადოება გაუწვდიდეს დახმარების ხელს და რითაც შესაძლებელი იქნება დაეხმარებოდეს.

თამბაქოს ისტორია.

— —

ჩვენს დროში თამბაქოს წევა ისე გახშირებულია საზოგადოთ, ისე ჩვეულებრივ მოვლენათაა გადაქცეული, რომ იშვიათად თუ ვინმე იკითხავს, გაეროპელების ისტორიას, როგორ მოედო მისი ხმარება ქვეყნიერობას და დიდი ხანია თუ არა, რომ მისი წევის ჩვეულებამ ფეხი მოიდგა ხალხში? ბევრს შეიძლება გონია, რომ თამბაქოს ხმარება ჩვენში უხსოვარ დროიდან მომდინარეობს, მაგრამ ეს ასე არ არის, მისი მოვლენის ისტორია დამოკიდებულია ამერიკის აღმოჩენის ისტორიაზე და განისაზღვრება სულ 421 წლით.

ამერიკის აღმოჩენამდე, ევროპაში სრულიად არავინ იცოდა რამე თამბაქოზე; ევროპიელებმა მხოლოდ 1402 წლის 14 ოქტომბერს დაიხახეს პირველად თამბაქოს წევა, როცა ქრისტეფორე კოლუმბი, თავის მსარე ფლოტით, მიადგა კუნძულ სან-სალვადორს, და ძალიანაც გაუკვირდა, რომ იქაური წითელ კანიანები ბოლს უშვებდენ ცხვირ-პირიდან... ამ სახით, ევროპიელებმა ამერიკასთან ერთად თამბაქოსაც აღმოაჩინეს.

ამის შემდეგ სხვა მოგზაურებიც ძლიერ გაკვიცრებულნი იყვნენ ამერიკელების თამბაქოს წევით და ერთმა მათგანმა — იტალიელმა ბენზონმა დასწერა, რომ ინდოელები შილებიანით ამრგვალებენ რაღაც მსუნარის ფოთლებს, ანბობენ, მერე ერთი თავით იდებენ პირში, მეორეზე უკიდებენ ცეცხლს და ცხვირ-პირიდან ბოლი გამოსდითო. ამ მსუნარეს ინდოელები „თამბაქოს“ ეძახიანო.

მაგრამ ინდოელები ყოველთვის როდი ეწეოდენ თამბაქოსაც. მას ხმარობდენ როგორც სათრობელას, ისეც დღესასწაულ დღეებში და მაშინ მანამდის ეწეოდენ, სანამ გრძნობა-მიხდილნი არ გაგორდებოდენ ხოლმე.. შემდეგ უამბობდენ ევროპიელებს, რომ თამბაქოსგან დამთრალნი ძილში ხედავენ დიდ ნათელს, რომელშიაც ეცხადება და ესაუბრება მათ თითონ „დიდი სულიო...“

ამის შემდეგ თვით ევროპიელებმაც იგემეს „სასწაულთმოქმედი“ ბალახის ბოლი და შეეყვარენ

კიდეც მის წევას... პირველად ისპანელმა მოგზაურმა გონზალოდე ოვიედომ გადმოიტანა ევროპაში თამბაქოს ფესვი, სადაც, პირველ ხანებში, ფასობდა მხოლოდ მისი ყვავილი და შემდეგ ფურსელიც შეიდა ბაბარბაში თვით მედიცინაშიც... მეთექვსმეტე საუკუნის შუა რიცხვებში ისპანიაში და პორტუგალიაში გახშირდა თამბაქოს წევა, რაც შემოიტანეს იქ ამერიკიდან დაბრუნებულმა მეზღვაურებმა და იქიდან, უს ჩვეულება, მოედო მთელს ევროპას... პირველ ხანებში არა თუ დიდს განსეიფრებას და დაინვას იწვევდა თამბაქოს წევა, პირიქით დიდ ოდვათ და საზიზღრობათაც მიაჩნდათ, რის გამო, დამალულად და დიდის სიფრთხილით ეწეოდენ მას, მაგრამ შემდეგ კი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, რამაც გამოიწვია ბრძოლა მთავრობისა და განსაკუთრებით სასულიერო პირთა... ასე მაგ. ოსმალეთის სულთანმა—ამურათ IX. 1625 წელს გამოსცა ბრძანება, რომლითაც, თამბაქოს წევაში დამნაშავე დიდ ხანს უნდა ეტარებინათ ქუჩა—ქუჩა კისერზე ბაწარ მობმული, შემდეგ უნდა რამოერჩოთ, მოეკვეთათ თავი და ეს თავი, ყალიონით პირში, უნდა გამოეკიდათ თვალსაჩინო ადგილზე, ხალხის დასაშინებლად. მიუხედავ ასეთი სასტიკი ზომებისა, თამბაქოს წევა მაინც არ შესწყდა; რამდენათაც სასტიკ ზომებს იგონებდენ, მით უფრო და უფრო ეფეგოდა მისი ხმარება ევროპის სახელმწიფოებს, რამაც იძულებულ ყო მთავრობა დევნა შეეწყვიტა და დიდი ხარკი დაედო თამბაქოზე, რითაც მთავრობამ გაიჩინა ერთი ზედმეტი წყარო შემოსავლისა.

რუსეთში თამბაქო პირველად ინგლისელებმა შემოიღეს მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს. რუსეთის საერო და სასულიერო მთავრობა ისე სასტიკად შეეგება მას, როგორც კათოლიკეთა სამღვდელოება პირველად; მაგ. მეფე მიხეილ თეოდორის ძემ, 1634 წელს, შემდეგი ბრძანება გამოსცა: „მოსკოვში და ქალაქებში აღკრძალულ იქმნას თამბაქოს წევა დამნაშავის სიკვდილით დასჯით; ახალის არ უნდა აღმოაჩნდეს თამბაქო, არ მოსწიონ და არ ივაჭრონ მითი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუბრალებლად უნდა დასჯილ იქმნან სიკვდილით, ხოლო მათი, სახლ-კარი და სარჩო-საბმადებელი იქმნას გაყიდული და სახაზინოდ შერიცხული".

მეფე ალექსი მიხეილის ძემ, 1649 წელს დასტური მისცა ბაბის ბრძანებას და განმარტა, როგორ უნდა ეწამებინათ დამნაშავე... 1649 წლის კანონით სასტიკად უნდა ეტანჯნათ ვისაც თამბაქო აღმოაჩნდებოდა; სასამართლოს არ იტყოდა ვისგან ჰქონდა ის ნაყიდი, ხოლო მითი მოვაჭრეთათვის უნდა მოეკვეთათ ცხვირი და გაეგზავნათ დაშორებულ ქალაქებში და სხ. რაკი ასეთ ზომებმა ნაყოფი ვერ მოიღეს, მეფე ალექსი მიხეილის ძემ სრულიად აღკრძალა რუსეთში თამბაქოს შემოტანა, მაგრამ არც ამით ეშველა საქმეს: ვაჭრებმა მოისყიდეს არხანგელის მართველი და ხელ-ახლად იწყეს თამბაქოს შემოპარება... მხოლოდ პეტრე დიდმა, 1697 წელს, გააუქმა ყველა წინანდელი უკანონი თამბაქოს შესახებ და განსაზღვრულ ხარკის ქვეშ, ნება დართო ყველას თავისუფლათ ევაჭრათ მითი. მას შემდეგ სწრაფად მოედო რუსეთს თამბაქოს წევა და ახლა ზომ თითით საჩვენებელია ის პირი, რომელსაც ეს ნაკლი არა აქვს.

რა თვისება აქვს თამბაქოს ისეთი მიმზიდველი, რომ მისი ხმარება ასე უცნაურად მოედო ქვეყნიერობას? რა მიზეზია, რომ ასე დიდ-ძალი ხალხი მიისწრაფვის მისკენ? ამ კითხვებზე სხვა და სხვა პასუხს იძლევიან: ზოგი ამბობს, რომ თამბაქოს წევა ჩვეულებად გადაექცათო; ზოგი თამბაქო ამაღლებს ადამიანის ენერგიასო და სხ. და სხ. მაგრამ, ამ უკანასკნელ ხანებში ერთხმად ადიარეს მეცნიერებმა, რომ თამბაქო იცავრობს შხამს—ნიკოტინს, რომელიც შხამავს ადამიანის სისხლს, ადამბლებს ნერვებს, ამცირებს აგებულობის ცხოველმყოფელ ძალას... სხვს მეცნიერები კიდევ ამტკიცებენ, რომ თამბაქო იწვევს გულის ფრიალს, აფერხებს ტვინის მოძრაობას, ასუსტებს მხედველობას, აგვიანებს საჭმლის მონელებასაც და სხ.... თამბაქოს ასეთი ზედ-გავლენისა გამო, მასთან საბრძოლველად იწყეს სხვა და სხვა ქვეყნებში, როგორც მაგ. ინგლისში, საფრანგეთში და შვეიცარიაში სასოგადოებების და ლიგების დაარსება, რომელთა წევრთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება... უნდა მოველოდეთ, რომ ადრე თუ გვიან, ამ მავნებელ ჩვეულებას, გადმოსულს განათლებულ ხალხზე ველური ინდოელებისაგან, ადამიანი დაგმობს და ხელიდან გადგებს.

სორტელი სტუმარი.

ერის ქაცის ძველ მოქმედება

რამოდენიმე საუკუნის წინეთ საქართველოში ხშირი იყო ისეთი ოჯახები, რომელთაც მტკიცედ ეჭირათ სარწმუნოება და მრწყინავდენ საკმაო ძალი წინაშე ასთა. იგენი ზიდიდენ თავიანთ ბეღლებს მონასტ-

რებში წმიდა მამების ხელმძღვანელობით, რომლებიც უნერგავდენ მათ მტკიცე სარწმუნოებას და პატრიოტიულ გრძნობას. თუნდაც ამ ყამად სწავლა-განათლების და ახალ გაზდობის განვითარების საქმე შესაშჩნევად აწეულია, მაგრამ სარწმუნოება თანდათან მცირდება. ზოგიერთ მაღალ წოდების ოჯახებში ისე დამცირდა ქრისტიანობა, რომ მის მაგიერ, კეთრას უქმე დღეებში თავიანთი მოზარდი თაობა შეაჩვიონ ეკლესიაში სიარულს წირვა ლოცვის მოსასმენად, მიყავთ კლუბებში, თეატრებში და სხვა გასართობებში. ძველებური შეურყეველი მტკიცე სარწმუნოება შერჩენია სოფლის ლედგებიის (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრებს ახნაურს ბახვა დგებუაძეს, რომელიც აღიზარდა ამ ტამად გაუქმებულ საირმის უდაბნოს მონასტერში თავისი ბიძა არხიმანდრიტი კირილეს ხელმძღვანელობით. ათი წლის წმიდა მონასტერში ყოფნას აღუნთია მის გულში გაუქრობელი სიყვარული ეკლესიის და მამულისადმი. მისი სახახლე წაგვავს პატარა ეკლესიას: სამი და ოთხი წლის მისი ბავშვები სრულიად განსხვავდებიან მათის ხნის ბავშვებისაგან ქრისტიანი მამის წყალობით. მე როგორც მახლობელი მცხოვრები მოწმე ვყოფილვარ იმისა, რომ, გაიგონებენ თუარა ზარის ხმას, ბავშები დაიწყებენ მზადებას წირვაზე წასასვლელად და აღტაცებულნი პირჯვრის წერით აფუცუცებენ პაწია ტუჩებს და იმეორებენ ეკლესიაში ხშირად გაგონილ სიტყვებს: უფალო შეგვიწყალენ, და რომ არ წაიყვანონ ტირილსაც მორთავენ. თვითონ ხსენებული ბახვა დგებუაძე, რასაკვირველია, არ აკლდება წირვა-ლოცვას და ხშირად შესანიშნავ მოძღვრებასაც წარმოსთქვამს ხოლმე. კეთილშობილი ერის კაცის ასეთმა საქციელმა კეთილი გავლენა იქონია ამ არემარეში; ადილობენ მას წაბაძონ, ლაპარაკის დროს სოფელში მისათითებელ მაგალითად მიიჩნიათ. გარდა ქრისტინული ყოფაქცევისა ბ. ბახვა სხვა ბევრი კეთილი მაგალითის მაჩვენებელია ჩვენ მხარეში. აი მაგალითად: სოფელ ლედგებიეში იყო დაძველებული ხის ეკლესია, რომელიც რევიზიის დროს 1910 წ. მისმა მეუფებამ ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა დაუწუნა საზოგადოებას და მოსთხოვა გაუმჯობესება. ზემოხსენებულმა დგებუაძემ შესწირა ამ ეკლესიას 300 მანეთი მის გასაუმჯობესებლად და ეკლესიის შიგნი მოწყობილებაც ბევრი შესძინა თავის ხარჯით. არამც თუ თავის სამშობლო ეკლესიას, არამედ სხვა სოფლის ეკლესიებსაც შეძლებისდაგვარად გულ მბურავალად ეწევა. გასული წლის „შინ. საქ." ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო ლიის ეკლესის მღვდლის მ. ყვირკელიას წერილი, რომელიც მადლობას ეცხადებდა მას ყველ მოქმედებისათვის. ახლა ბ. ბახვა დაიწყო ლედგებიის სამრევლო სკოლის მშენებლობა და დანიშნა ლედგებიის სამრევლო სკოლის მშენებლად და ინანიშნისათანავე შესაბამები რემონტი გაუკეთა სკოლის შენობას და აღუთქვა მრევლის შკოლის შენობის სრულიად გადაკეთება. ბედნიერია ის სოფელი, რომელშიაც ურევია ორი-სამი ასეთი ქველმოქმედი პირი!

მედავითნე ლუკა სართანია.

ქართული ენა

სამეგრელოს შკოლებში.

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ ეხლა ჩვენს საქართველოში იშვიათია ისეთი სოფელი, რომელშიაც სამრევლო სკოლა არ არსებობდეს. სამრევლო სკოლები დიდად, დიდად საჭიროებელნი არიან სოფლებში, მეტადრე დაბალი წოდებისათვის, და ბევრად სჯობნიან თავიანთს მეტოქეებს-სამინისტრო სკოლებს, თუ ყველა საქართველოს ნაწილებში არა, ჩვენს დაჩაგრულსა და მრავალ-ტანჯულს სამეგრელოში მაინც, იმიტომ რომ ჩვენში ისე თუ ისე სამრევლო სკოლებში ქართულ ენას რიგიანი ალაგი აქვს დათმობილი, ამ ენის სწავლება სავალდებულოა, თუ არა ყველასაგან, ჩვენებურებისაგან მაინც და საღმრთო სჯულიც ისწავლება ამ ენაზედ. სამინისტრო სკოლებში 1905 წლამდე ქართულს არ ასწავლიდნენ; ეს აღკრძალული იყო, ვისგანაც ჯერიყო. ამას ხელი შეუწყეს ზოგიერთმა ჩვენებურმა (მეგრელმა) პედაგოგებმა, რომელნიც ამხედრდნენ ქართული ენის წინააღმდეგ და იწყეს უფროსების წინაშე მტკიცება, ვითომ მეგრელები იყვნენ არა ქართველები და მაშასადამე მეგრელების ენა ქართული არ უნდა იყოსო, თ. აშორდიამ და ი. ქობალიამ შეადგინეს მეგრული ანბანი რუსული ასოებისაგან, შეადგინეს მეგრულ-რუსული ქრესტომატია არაკებისაგან და ამ გვარად ჰქმნეს მეგრული ლიტერატურა. აი ამ პატიოსან მოღვაწეების მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „მეგრული ენისა" მოიწონა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა და დაავალა მასწავლებლებს ამ სახელმძღვანელოს საშვალებით ესწავლებიათ ბავშვებისათვის რუსული ენა. მეგრელი ხალხი არ ითანაგრძნობდა ამ მამულის განმაახლებელ პირებს და მათს ლაწლს,

ზიზღს აცხადებდა მათს მოღვაწეობაზე იმათს საქციელს, იმათს მოქმედობას მამულის ღალატს, უარყოფას, მოძმეთა გამცემლობას უწოდებდა; მაგრამ ხალხის წყევლა-კრულვას ეს პატიოსანი პირები ყურადღებას არ აქცევდნენ, ვინაიდან მათი მადლობელი იყო უფროსობა, ის უფროსობა, რომელიც ცდილობდა მეგრელების გადაგვარებას.

დიაღ, აღკრძალეს სამინისტრო სკოლებში ქართული ენა და დაავალეს მასწავლებლებს ბავშვებისთვის რუსულ-მეგრულის სწავლება, რასაც ვერ შეურიგდა ხალხი, ის ხალხი, რომელიც უხსოვარ დროიდგან ქართულ ენას თავის დედაენად აღიარებდა, ამ ენაზედ ევედრებოდა ღმერთს და ამ ენაზედ განაგებდა ქვეყანას, ხანამ ოროთავიანი არწივის ქვეშევრდომობას მიიღებდა. რა საკვირველია, მეგრულის სწავლება მოისპო, მარა ქართულის სწავლება არ იქმნა ნება დართული და სამინისტრო სკოლები გადიქცნენ წმინდა რუსულ სკოლებად, მიუხედავად იმისა, რომ ეს სკოლები იყვნენ არა რუსეთში, არამედ სამეგრელოში, რომელიც შეადგენს საქართველოს ერთ საუკეთესო კუთხეს და რომელშიაც ცხოვრობს მეგრელი ხალხი, ღვიძლი ძმა ქართველებისა.

მართალია, მეგრული ენა, დროთა ვითარებისა გამო, ცოტა დაშორებულია წმინდა ქართულს, მაგრამ ეს ხომ იმას არ ამტკიცებს, რომ მეგრელები ქართველები არ არიან! განა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ნაირად არ ლაპარაკობდენ ქართულს? იმერლები, გურულები, ფშავ-ხევსურები, თუშები, კახელები — ყველა სხვადასხვანაირს ქართულს ლაპარაკობს. მოდი და რომელიმე მათგანს უთხარი: „შენ წმინდა ქართულს არ ლაპარაკობ და ქართველი არა ხართქო!“ თუ გურული, იმერელი, ფშავი, ხევსური, თუში ქართველებია, რა დააშავა მეგრელმა, რატომ არ არის იგი ქართველი? განა მეგრელების ენა იგივე ქართული ენა არაა ცოტაოდენი ცვლილებით? ნურას უკაცრავად, თუ მეგრელმა თავისი ენა არ უარყოს და ქართველობაც დაიჩემოს.

დიაღ, ბატონო მკითხველო! სამინისტრო სკოლებში ქართულის ჭაჭანებაც არ იყო: მასწავლებლებსაც ეს უხაროდათ, არ ვიცი კი რად (მე მაქვს სახეში ზოგიერთი მასწავლებლები და არა ყველა). იყვნენ და არიან სამინისტრო სკოლებში ისეთი მასწავლებლები, რომელთაც არ იცოდნენ და არ იციან, მათდა სასირცხოდ, ქართული ენა.

1905 წ. ასე იყო თუ ისე სამინისტრო სკოლათა მთავრობა იძულებული გახდა შემოელო ქართული ენის სწავლება პირველ განყოფილებებში და საღმრთო სჯულისაც ქართულად. მაგრამ ეს, როგორც სჩანს, სავალდებულო არ არის, ვინაიდგან ამ ენას არ ასწავლიან სამინისტრო სკოლებში ზოგიერთები ენის უცოდინარეობისა გამო, ზოგი შეუგნებლობისა და ზარმაცობისა გამო, ზოგი რის გამო და ზოგი კიდევ რის გამო. არიან ისეთი სამინისტრო სკოლებიც, სადაც ქართულს ასწავლიან, მაგრამ ანბანის ამოღებას — სხვას არაფერს. არიან ისეთი მასწავლებლებიც (ოცში ერთი!), რომელნიც უფრო ფართო ალაგს უთმობენ ქართულს, მაგრამ არ ვგონებ, იმათაც ჰქონდეს ეს ენა დაყენებული ისე, როგორც სამრევლო სკოლებში შედარებით უკანასკნელ მასწავლებელს.

„რუსული არის სახელმწიფო, ე. ი. სახელმწიფოში ბატონი ენა; ეს ენა უნდა იცოდეს კაცმა და სხვა გინდა იცოდეს და გინდა არაო!“ გაიძახიან ზოგიერთი მასწავლებლები სამინისტრო სკოლებისა. ამაში გამოიხატება, რომ ამ ვაჟბატონებს არ უყვართ თავისი ენა, არ იციან მისი ფასი, არ გაეგებათ სამშობლო ენის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში, არ უყვართ მამული, უარჰყოფენ თვითარსებობას და თვისტომობას. ამისთანა პატიოსან პირებზედ არის ნათქვამი: „დიდი ხანია ზოგთა მეგრელთა უარჰყვეს თავისი მათ ქართველობა და ფულისათვისა (?) ჩამოიხადეს კაცურ-ღირსება და გვარ-ტომობა“ (პ. აკობია).

მისთვის ჩამოვაგდე სამინისტრო სკოლებზე ლაპარაკი, რომ მინდოდა, ცოტად თუ მრავლად, გამეთვალისწინებია მკითხველისთვის, თუ რომელი ტიპის სკოლას მოაქვს უფრო ნა-

ყოფი მეგრელების ინტერესებისათვის, იმ მეგრელებისა, რომელნიც ქართველების ღვიძლი ძმებია, შეჩვეულია ქართულს, მას აღიარებს (არის კიდეც) დედა-ენად და ამ დედა-ენაზედ ვევედრება ღმერთს.

ჩვენს სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება დაყენებულია რიგიანად და კიდეც სავალდებულოა. მასწავლებელნი, ვისაც კი აქვს სამშობლო ენის სიყვარული გულში, ნაციონალური თავ-მოყვარეობა, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, და თვითშემეცნება, ვისაც კი სწამს, რომ „ენა არის განძი უძვირფასესი, ენა არის ხალხის უკვდავი სული, ენით იცნობა ხალხის ღირსება და თუ რამდენად ის არის სრული“ (პ. აკობია), ვისაც ესმის, რომ „თუ ენა მოკვდეს ერიც დაეცეს, მოეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“ (გრ. ორბელიანი), —ცდილობენ ქართული ენის სწავლება დააყენონ უმაღლეს ხარისხზე და ბევრს კიდეც სამაგალითოდ აქვს ამ საგნის სწავლება დაყენებული, ზოგს კარგად და ცუდად არავის.

ალ. ენგურისპირელი.

(შემდეგი იქნება).

კრიტიკული შენიშვნები.

ბრძოლის მომღერალი.

(„თაიგული“ ლექსები ე. ოჩხაძისა. 1910 წ.)

I.

ერთ დროს, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენშიაც და რუსეთშიაც მგოსანთა-გონება სულ სხვანაირს ყალიბზე იყო მოჭრილი და სხვა ადგილზეც იშენებდა კოშკებს თვისი ფეხების მოსაკიდებლად, ხელების მოსაბღაუჭებლად. მგოსნები, „ვით ფრინველნი გარეგანნი“, თავიანთი საკუთარი ერის მოსაკლავად უდარდელად სტოვებდნენ და სრულიად ივიწყებდნენ იმ „ბინძურ“ ცხოვრებას, რომელიც არავითარ აზრს და შინაარს არ აძლევდა იმათ უზრუნველ, გაფაქიზებულ არსებობას და, იმის მაგიერ, დილის ცისკარს, ლამაზ შავ თვალებს, ღამის მყუდროებას, დამტკბარ ყოფას, ლეინოს და განუზომელ აზიურ ქეიფს უმღეროდენ, „შორს უწვდენელ ზეცას და ზღაპრულ ციურს“ შენატროდენ. მართალია, ხანდახან, ათასში ერთხელ, დრო გამოშვებით, ცისაკენ მიპყრობილნი თვალნი „ჩვენს ცოდვილ მიწასაც“ გადმოხედავდენ ხოლმე დარცხვენით, მაგრამ აქ ისინი სრულებითაც ვერ ამჩნევდენ იმათ, ვისაც უჭირდა „ლუკმა დღიური“...

უწინდელი მგოსნები მთელ თავის ყურადღებას აქცევდენ მხოლოდ და მარტო უპირატესობით, დიდი უფლებით, პრივილეგიებით აღჭურვილ საზოგადოების ნაწილს, ამ ნაწილის გაფუფუნებულს ცხოვრებას შენატროდენ და ლექსებს უმღეროდენ და იმას კი არ დაგიდევდენ, რომ მთელი ცხოვრება ამ უპირატესი საზოგადოების შემდგარი იყო მშრომელი ხალხის შეუწყვეტელი ნაოფლარით. აი, ამ ბედნიერი სიზოგადოების ცხოვრება, ლხინი, დაუსრულებელი შექცევა, დროს გატარება და ქეიფი, ცხოველური გულის თქმანი იზიდავდენ უწინდელ მგოსნებს და ისინიც, —ცოდვა იქნება რომ არა ვთქვათ, —დიდათ შენატროდენ „ვარდსა და ბულბულს“, შავ-თვალ წარბებსა და ფერ-მკრთალ სახეს“. მაგრამ, რადგან აქაც არა იყო რა საკბილო გრძნობა-გონებისთვის, რომლის ზრდა, წარმატება და მრავალგვარი დატკბობა დამოკიდებულია ცხოვრების მრავალგვარობას, სინამდვილის რთულ მოვლინებათა დაკავშირებასა და დამოკიდებულებისგან, იმ დროის მგოსნები მარტო პოეტურ ფორმას გაჰყვენ და პოეტური ფორმები მართლაც რომ საგანგებოთ შეამუშავეს, გაამშვენიერეს...

ამ ფორმებით, რასაკვირველია, ისარგებლეს ჩვენი დროის ნიჭიერმა მგოსნებმა და იმაში ულამაზოდ, შვენიერადაც გახვიეს, მოიტანეს ახალი სწავლა-მოძღვრების ნათელი აზრები და წმინდა, ანგელოსური გრძნობანი, რომელნიც განუყრელნი არიან ყოველთვის ნამდვილი განათლებული, პატიოსანი ადამიანის არსებისა. ნ. ნეკრასოვი, პლეშჩეევი, ტარას შევჩენკო, ილია ჭავჭავაძე და ნამეტურ აკაკი — ეს იშვიათი ტალანტით დასაჩუქრებული მწერალნი დიდი

მოძღვრების მომასწავებელ ლამპრად აღუჩნდენ მთელი რუსეთის და ჩვენი, ქართველთა, ცხოვრების ახალს მიმდინარობას და მკითხველი საზოგადოება ახალ-ახალ საკითხებზე და საგნებზე ლრმად ჩაიფიქრეს. რა თქმა უნდა, ძველებურ მგოსნებსაც ლილახანა გაუცოცდათ, ფასი დაეკარგათ და იძულებული შეიქნენ სალიტერატორო ადგილი და სარბიელი დაეთმოთ ამ ჩვენი ახალი დროის განთქმულ მგოსანთათვის...

კრიტიკამაც თვისი უკეთესი, უნიჭიერესი წარმომადგენლებით მხარი მისცა და იგი მეთაურადაც დაუდგა ახალი ლირიკის, ლიტერატურის მჩქეფარე მოძრაობას და შეერთებული ძალ-ღონით ძველებური პოეზია და ესთეთიკური კრიტიკა იმ წერტილამდის მიიყვანეს, რომ თითქმის სრულიად მოუსპეს ლიტერატურაში გზა და კვალი. რეალურმა სალიტერატურო კრიტიკამ ესთეტიურს კრიტიკას გაუსინჯა არსებობის საფუძვლები, ენის გამომეტყველობაც და, გაშინჯვის შემდეგ, რაკი ნათლად აღმოჩნდა, რომ მას ჰკუიანი მსჯელობის და აზროვნობის ნიჭი სანახევროდ დაკარგული ქონდა, აღარ დაინდო და სრულიად უარი ჰყო მას ლიტერატურაში (დიმიტრი პისარევი), უშინაარსო პოეტებზეც პაროდიების მსგავსად დაკინვით იწერებოდა ბევრი სახუმარო ლექსები, სცენები... ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს გაგრძელდა ნამეტურ რუსულ ლიტერატურაში და ამ გზას, წარმოიდგინეთ, დღესაც მსვლელობა აქვს იქ.

მაგრამ გავიდა დრო. რეფორმებს შემდეგ, საზოგადოების კარგს, აღტაცებულ გუნებაზე დაყენების მალე რეაქცია მოჰყვა და დიდი ტალანტით დასაჩუქრებულ რუსის კრიტიკოსების სიტყვაც... მისწყდა. ამ გარამოებამ ძველი პოეზიისა და კრიტიკის მოტრფიალენი დიდ მოძრაობაში მოიყვანა და იმათ ისევ ხმა ამოალებინა. გონებით სუსტი ადამიანები საზოგადოებაში, მოგეხსენებათ, არასოდეს არ მოისპობიან და ახლა, ჩვენს დროს ნამეტურ, როცა გარეშოებაც ხელს ძალიან უწყობს ამისთანა პირების გაძლიერებას, თითქოს რალაც ახალი ძალა იგრძნესო, ამათ ამჯარად და იწყეს წერა და ქადაგება, რომ პოეზიას, ხელოვნებას მხოლოდ და მარტო, ბრმა ჩაბეჭდილების მეხანიკური და უცაბედი ხასიათი უნდა ქონდესო...

რა თქმა უნდა, ყველა მგოსანი და კრიტიკოსი არ არის გატაცებული ასე წვრილმანი, უმნიშვნელო საგნებით, როგორც ცხოვრების სხვა სფეროში, აქაც დიფერენციაცია სწარმოებს ძალებისა. ე. ი. არიან ისეთი კრიტიკოსებიც, რომელნიც მუდამ მდიდარი შინაარსით აღსავსე, რთულ თანამედროვე ცხოვრების ბრძოლისკენ უთითებენ და მოაგონებენ დიდ-დიდ სამერმისო იდეალებს ახლანდელ მხატვარ მგოსნებს. მაგრამ ხელ-ახლა გამოჩეკილი წმინდა წყლის ესთეტიკოსების ჟრიამული ჰაერში მაინც ხმა მაღლა გაისმის და მწერალ-მგოსნებს უკრძალავს სულის გაზვითარებას, უძაღლესი იდეალებით გატაცებას, ხასიათების კეთილშობილ თვისებათა განმტკიცებას. ამ ახალმოდის კრიტიკოსებმა ადამიანის ამ ქვეყნად ცხოვრების დიდი და უმთავრესი საფუძველი, მიზანი, დაკინვით **სამოქალაქო წუხილის** სახელ წოდებით მონათლეს, ყოველივე ლამაზ ფორმებს ანაკვალეს და სწორედ ამ გვარ ესთეტიკაზე მსურს მოკლედ მოველაპარაკო დღეს ჩემს მკითხველს.

მოგეხსენებათ, ესთეტიური კრიტიკა არ ჩქევს და უკვირდება მხოლოდ და მარტო ავტორის ნაწარმოებს. იმას არც ნაწარმოების ავტორთან აქვს საქმე, არც იმ დროსთან, გარემოებასთან და ერთან, რომელშიაც ავტორი ცხოვრობდა და იზრდებოდა. რალა ბევრი გავგრძელო, ამ კრიტიკას სრულებითაც არ აინტერესებს ავტორის ბიოგრაფია, იმისი თავ-გადასავალი. ესთეტიკური კრიტიკის აზრით და დარწმუნებით, ყველაზე უფრო ნათლათ და სინამდვილითაც მკითხველი გაიგებს კარგად ავტორის ნაწერიდან იმას, რასაც ფიქრობდა ავტორი, თვით შემოქმედი ნაწერისა. „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ". თუ ნაწარმოები ლიტერატურულად მხრით ცუდია და სუსტი, თუ იგი არ ყარგა, განა ის, რასაც

ავტორის ცხოვრება, იმის თავგადასავალი მოგვეკითხა და აგვიხსნიდა, ამით განა ნაწარმოები იმისი გაუკეთესდება თუ? სრულიადაც არა. ლიტერატურის ყოველი დარგი ექვემდებარება რაიმე არსებით, ძირითად პირობას, რომელიც სალიტერატურო კრიტიკის საფუძველსაც წარმოადგენს. სალიტერატურო კრიტიკა ყოველთვის და ყოველგან აქებს და იწონებს მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიაც დაცულია, ნიჭიერად გატარებულია ჰეშმარიტების და შვენიერების სამარადისო კანონები, აძაგებს და იწუნებს პირდაპირ ისეთს ნაწერს, რომელიც ღალატობს და შორს გაურბის ამ კანონებს...

მიუცილებლად, ესთეტიურ კრიტიკას დიდი-აზრი და საფუძველი იქვს, როცა ამბობს, რომ ყოველი მხატვრობა, პოეზია, ყოველი ფორმა უნდა ხატავდეს რაიმე არსებით აღნიშნულ პირობას, რომელიც შეიცავს თვით ადამიანის სულის ვითარების კანონს. იგი სრულიად მართალია იქაც, როცა ამტკიცებს, რომ ეს არსებითი პირობანი სრულიად გახორციელებული არიან იმ დიდ, უკვდავ სამხატვრო კლასიკურ ნაწარმოებში, რომელთაც დიდ აღტაცებაში და სიხარულში მოუყვანიათ ჩვენი მამები და ჩვენც მოვყავართ დღეს. ამ გვარად, ამნაირი კრიტიკა მართლაც დიდ საშვალებას გვაძლევს ჩვენ, გავარჩიოთ კარგი, ჰეშმარიტად შვენიერი სალიტერატურო ნაწარმოები სუსტი და უვარგისისგან და აშკარა სინამდვილითაც გავიგოთ კიდეც, თუ რატომ მოგვწონს იგი, ან არ მოგვწონს. თუ მართლაც ფილოვნების, ჰეშმარიტი მხატვრობის პრინციპებიდან გამომდინარობს ესთეტიური კრიტიკა, მაშინ დიდი მწერალნი, საქვეყნოდ სახელგანთქმულნი მხატვარნი-მგოსანნი, რა თქმა უნდა, ყოველთვის და ყველგან დიდ დახმარებას და თანამშრომლობას პოულობენ ამ გვარ კრიტიკისას. „რასინი და მოლიერი, ყოველთვის სთვლიდენ. ბუალოს თავის თანამშემწეთო", ამბობს ადოლფ გაცველდი*)

ხომლელი.

(შემდეგ იქნება.)

*) იხ. „Основы литературной критики". Адольфа Гацфельда.

დია ბარათი ბ. ძაძუ ლოლაძეს.

„შინაური საქმეების" 8 ნუმერში დასტამბულია თქვენი წერილი სკანდის ეკლესიის შეფასების შესახებ, სადაც, სხვათა შორის, ჩემზედ ამბობთ, რომ ჩემგან უმართლოთ ისჯებით. ამასთანავე თქვენ არ ასაბუთებთ თქვენს ბრალდებას, თუ სახელდობრ რით ისჯებით ჩემგან. თქვენგან უსაბუთო ბილის წამების მოსმენა ჩემთვის და მრავალთათვის არ ახალია, ძველია. თქვენ ყოველთვის გაურბიხართ საბუთებს, რადგან საბუთები თქვენს სასარგებლოთ არას იტყვიან. ამიტომ მე თვითონ მოგახსენებთ, თუ რა დანაშაული მიმიძღვის თქვენთან: 1900 წელში თქვენ საეპარქიო მთავრობასთან საჩივარი აღძარით სკანდის ეკლესიის აღმაშენებელ კომიტეტის წინააღმდეგ. სჩიოდით, რომ კომიტეტმა მრევლისაგან ეკლესიის ასაშენებელი ფული აიღო და თუმცა თქვენ, ხელშეკრულობის თანახმად, ეკლესია ააშენეთ, მაგრამ კომიტეტმა თქვენ ფული არ მოგცათ და ფული კომიტეტმა შეჭამა.

ხსენებული საჩივარი საეპარქიო მთავრობამ მე გადმომცა გამოსაძიებელად (на дознание). გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ თქვენ კომიტეტისაგან ხელშეკრულობის თანახმად ოვითონ დაკმაყოფილებული და ეკლესია კი დამთავრებული არ იყო.

ჩემი გამოძიებით თქვენ არ დაკმაყოფილდით და საეპარქიო მთავრობას მოსმენებას არ აძლევდით; სასოლობდით, ჩემი გამოძიება უყურადღებოთ დაეტოვებიათ. მაშინდელი იმერეთის ეპისკოპოსი, იმ დროებში თვითონ მობრძანდა ს. სკანდეში და მოინდომა პირადად გამოეკვლია საქმის გარემოება ოთხი შეგნებული პირისაგან შემდგარი კომისიის დახმარებით. კომისიის მუშაობა სწარმოებდა თვით თქვენს ბინაზედ. კომისიის გამოკვლევამ აღმოაჩინა და დაუფარავად, რომ ჩემი გამოძიება სწორი, მიუდგომელი, სამართლიანი და უტყუარი იყო; იმდენად უტყუარი, რომ შეცდომა და განსხვავება ნაბეჭდ „კანონშიაც" კი ვერ აღმოჩენილა. ამის შემდეგ თქვენ სიტყვა დასდეთ მღვდელმთავრის წინაშე, რომ სულ მოკლე დროში ეკლესიას მოათავებდით და ჩაბარებდით აღმაშენებელ კომიტეტს. ჩემის მხრით დაგინებით ესეთივე მღვდელმთავარს, რომ წვრილმბრძანი პირობა საბოლოოთ-ია იქნე თქვენთვის, მაგრამ მაგრამ მეტუბა, რომ ოქვენმა სტუმარმა, უფროსულთ დაბარა თქვენს ოჯახ-

ში ამ გვარი პირობის მოთხოვა, დაკმაყოფილდა თქვენი კეთილშობილური სიტყვიერი პირობით და გაბრუნდა ქუთაისში.

მაგრამ როგორ დააფასეთ თქვენ მათი მეუფების ნდობა და თავაზიანობა? სამწუხაროთ ძლიერ ცუდათ და ნაკლებათ! როცა თქვენ მოგთხოვეს ეკლესიის მოთავება და ჩაბარება, თქვენ შემოიტანეთ ჩემთან წერილობითი განცხადება. აცხადებდით, რომ თქვენ თბილისიდან მოიყვანდით ოსტატებს, ეკლესიას მოათავებდით, მაგრამ კომიტეტს არ ჩააბარებდით, არამედ მოითხოვდით ინჟინერს ეკლესიის შესამოწმებლად და შესაფასებლათ და ეკლესიას ჩააბარებდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინჟინერის შეფასებისამებრ მიიღებდით ასაშენებელ ფულს.

ამგვარმა თქვენმა უცნაურმა განცხადებამ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა თქვენსა და აღმაშენებელ კომიტეტის შორის დადებულ ხელშეკრულობას, მე მაიძულა მერჩია თქვენთვის, რომ განცხადება უკანვე წაგეღოთ და როცა ეს არ ინებეთ, იძულებული გავხდი ეს განცხადება საეპარქიო მთავრობასთან წარმედგინა. ამის შემდეგ თვით მღვდელმთავარმაც გამხილათ იმ განცხადების უცნაურობა და როცა თქვენზედ არავითარმა რჩევამ და თავაზიანმა მოთხოვნილებამ არ გასჯრა, მღვდელმთავარი იძულებული გახდა საჩივარი აღეძრა ოლქის სასამართლოში თქვენზედ ხელშეკრულობის დარღვევის შესახებ

ამ გარემოებამ თქვენ დაგაფათურათ. თქვენ ხელ ახლა აღუთქვით მღვდელმთავარს ეკლესიის მოთავება და ჩაბარება; მაგრამ, რადგან თქვენი სიტყვიერი პირობა აღარ დაკმაყოფილებდა მათ მეუფებას, ნოტარიალური პირობა ჩამოგაროთეთ მღვდელმთავარმა. მაგრამ თქვენ ისიც დაარღვიეთ. ამის შემდეგ გიჩივლეს და დაგადგეს ჯარიმად ექვსი ათასი მანეთი.

თუ ყოველივე ეს ასე იყო, მაშ რაღას შემარცხვებით? ხოლო, თუ თქვენთან რაიმე დანაშაული მიმიძღვის, განგვიმარტოთ, რაში გამოიხატება ეს ჩემ მიერ თქვენი უმართლოთ დასჯა? ნუ თუ ჩემ"თვის სამართლიანი" არ იქნებოდა მეფალატნა სინიდისისა და მოეალეობისათვის და ხელი შემეწყო თქვენთვის ხალხის წინააღმდეგ?

ან და ეგენ თავს მიტომ ითვლით ჩემგან უმართლოთ დასჯილთ, რომ სასამართლოს მოქალაქეთა მოგვარეთ კარზე და აღგილ-მამულ აგიწერეთ? თუ ასეა, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ გადამწყვეტი და მბრძანებელი არა ვართ. ჩვენზე უფროსები გადასწყვეტენ და გეიბრძანებენ აღსრულებას და ჩვენს, თუ სამსახურში დარჩენა გვინდა, ბეჯითი აღმასრულებელი უნდა ვიქნეთ ამ ბრძანებისა. მოახერხეთ, რომ უკანვე წაიღონ აღმასრულებელი ფურცელი და დაგიმადლებთ.

მაშ ასე, ბ. შამშე! თქვენ ღმერთმა ხელი მოგიწყოთ, რომ თავიდან გადიძვრინოთ ეგ ჯარიმა; ამის წინააღმდეგი არავინ იქნება. მაგრამ გთხოვთ დაგვისაბუთოთ, სახელდობრ, რომელი ჩემი უკანონო მოქმედებით ისჯებით თქვენ უმართლოთ? წინააღმდეგ შემთხვევაში, იმედია, მკითხველი საზოგადოება თქვენს ჩემ წინააღმდეგ გაზეთის ფურცლებზედ გამოლაშქრებას ჩასთვლის არა კეთილ სინიდისიერ საქმიელათ და საზიზღარ ცილისწამებად.

მღ. იასონ აბესაძე.

წერილი რედაქციის ძიძართ.

მამაო რედაქტორო!

გთხოვთ აღგილი დაუთმოთ ამ ჩემს შენიშვნას თქვენ პატივსემულ გაზ. „შინაურ საქმეებში".

ამა წლის „შინაური საქმეების" 1-ს №-ში მოთავსებულია ბ. ალიოშას წერილი ჩემზედ და ბლაღ. მ. იოსებ წერეთელზედ, რომელშიაც იგი ამბობს, ვითომც ჩვენ უკანონობა ჩაგვედინოს სკანდს ეკლესიის შემოწმების საქმეში, მაგ. ყველა საჭირო ცნობები არ შეგვეტანოს თქმში, არ მოგვეთხოვოს ეკლესიის აღმაშენებელი კომიტეტის წევრებისაგან საბუთები იმის დამამტკიცებელი, რომ მოიჯარადრე ლოლაძე ფულით ხალხის მიერ სრულიად დაკმაყოფილებულია და ვითომც ჩვენ წასული 1912 წლის 26 ნოემბერს ჩხარში დაერჩენილიყოთ და განძრახ არ გაეყოლოდეთ ინჟინერს ფრიკს ეკლესიის შესამოწმებლად. დასაბეჭდებულ ბრალდებათა შესახებ პატივი მაქვს ეაუწყო პატივსემულ საზოგადოებას შემდეგი: სკანდს ეკლესიის შემოწმება გვაქვს დავალებული მთავრობის მიერ ბლაღ. მ. იოსებ წერეთელს, მე და ინჟენერ ფრიკს. ჩვენ სამთაოვნი უნდა მივსულიყავით ხსენებულის ეკლესიის შესამოწმებლად წასული 1912 წლის 25 იულისს. კიდეს მივედით ჩვენ მღვდლები, მხოლოდ არ მოვიდა ინჟენერი ფრიკი და ჩვენს ისე დავბრუნდით, რომ არა გაეყოლეთ ბატონი. მეორე ვადათ დაინიშნა იმავე წლის 1 აგვისტო. ამ ვადაზედაც მივედით ჩვენ, მხოლოდ კიდევ არ მოვიდა ფრიკი და ვინაიდგან ჩვენთან იყვნენ ჩხარის მოქალაქეთა ბოქაული და კომიტეტის წევრებიც, ამისათვის საქმის შეკერება ტუტარხულად ვქმნით და შეუდგენთ

ისეთი ცნობების შეკრებას, რომელთა შეკრებაც მაშინ შესაძლებლად ვსცანით., დანარჩენი ცნობების შეკრება და საქმის გათავება კი გადავდევით იმ დროისათვის, როდესაც კომისიის სამთავე წევრი ერთად მივიდოდით ეკლესიის შესამოწმებლად. სხვათა შორის, გამოვიკითხეთ მაგ. თუ რა ჰქონდა ხალხს მიცემული ლოლაძეზე, ამის შესახები საბუთებიც მოვთხოვეთ კომიტეტის წევრებს, მაგრამ ვერ წარმოგვიდგინეს, ვინაიდგან საოლქო სასამართლოში ჰქონდათ წარდგენილი, როგორც თვითონ განაცხადეს, რაც შეტანილ იქმნა ოქმში, რომელსაც ხელი მოაწერეს ბ. ბოქაულის თანადასწრებით როგორც ლოლაძემ, აგრეთვე კომიტეტის წევრებმაც. ამით ჩვენ საქმე მხოლოდ დავიწყეთ და რომ სრულიად დაგვესრულებია დაინიშნა კიდევ მესამე ვადა იმავე წლის 26 ნოემბერი. აღნიშნული ვადისათვის ჩვენ მღვდლები ჩავედით ყვირილაში და ვეცდიდით ფრიკს, დავხვდით როგორც ღამის, აგრეთვე დილის სახალხო მატარებლებს, მაგრამ იგი არ მოვიდა, გადავწყვიტეთ გვეცადა შუადღის მატარებლისათვის და თუ მაშინაც არ მოვიდოდა, საღამოს ქუთაისში უნდა ჩავსულიყავით და თან წამოგვეყვანა იგი, ხოლო თუ არ წამოგვყვებოდა საქმის გარემოება ყოვლად სამღვდელოსთვის უნდა მოგვეხსენებია. ჩვენ რომ სადგურიდან ბინაზე გავედით, ამ დროს ფრიკი სალდათების მატარებელს მოჰყოლოდა და მაშინვე ეტლით ჩხარში წასულიყო, საიდანაც საჩხერეში გადასულიყო და ენახა თუ არა ეკლესია, უკანვე გამობრუნებულიყო. ჩვენ გავიგეთ თუ არა მისი წასვლა, საჩქაროდ ეტლითვე დავედევნეთ, გვინდოდა საჩხერეშივე მივსწრებოდით მისთვის, მაგრამ მიუხედავად ჩვენი სიჩქარისა, შევდიოდით თუ არა ჩხარში, იგი შეგვხვდა უკან გამობრუნებული ექიმ ტერტეროვთან ერთად. ვთხოვეთ უკან გაბრუნება, მაგრამ აღარ გამობრუნდა და ჩვენც მასთან ერთად ჩამოვედით ყვირილაში. ასე იყო ამ საქმის გარემოება. აქ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ეკლესიის შემოწმების ზემო აღნიშნული სამივე ვადა ბ. ფრიკის მიერ იყო დანიშნული. დასასრულ უნდა დავსძინო, კარგად უნდა მოეხსენებოდეს ბ. ალიომშას, რომ გაუთავებელ საქმეზე მსჯავრის დადება ნაადრევი და უსაფუძვლოა, ჩვენ მხოლოდ დაწყებული გვაქვს საქმე და არა გათავებული (საქმის დაგვიანება კი, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ჩვენგან არაა გამოწვეული). რა საჭიროა ბ. ალიომშას მიერ ჩვენი გაფრთხილება, როდესაც ჩვენ ისედაც ვალდებულნი ვართ ამ საქმის შესახებ ყოველივე საჭირო ცნობები შევკრიბოთ და საქმე ყოველგვარად და კანონიერად შესწავლილ-გამორკვეული წარუდგინოთ მთავრობას. მანამდის ბ. ალიომშამ მოთმინება უნდა იქონიოს, შემდეგ საქმის წარდგენისა კი, სრული უფლება ექნება მას ილაპარაკოს ჩვენი სამართლიანობის, თუ უსამართლობის, კანონიერების თუ უკანონობის შესახებ.

მღ. სერგი მაჭარაშვილი

მადლობის გამოცხადება.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ როგორც პირადათ ჩვენგან აგრეთვე მთელი კრებულის და სამრევლოსაგან შემდეგ პირებს, რომელთაც კეთილ ინებეს და რწმუნებულ ჩემდამი ქუტირის წმიდის გიორგის ორ შტატიან ეკლესიას შემოსწირეს შემდეგი ნივთები: მაია ბალავაძისამ ახალი ოდიკი ღირებული 5 მან. ოლღა რუხაძისა შენგელიას ასულმა კრესტსამშლელი ღირებული 4 მან. 40 კაპ. და ოლღა ქერიამ გიორგი რუხაძისამ კუბო ძირითადი ხატის ჩასასვენებლათ ღირებული 6 მან. და ორი საკურთხეველში დასადგამი სავარძელ-ები ღირებული 9 მან. ღმერთსა ვთხოვ ამ პატიოსან მანდილოსნებს წაბაძონ სხვა პირებმა ასეთ კეთილ საქმეში.

ქუტირის წმიდის გიორგის ეკლესიის **მღვდელი ევგენი დათიაშვილი.**

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო რწმუნებულ ჩემდამი ლანჩხუთის ნათლისმცემლის ეკლესიის მრევლთაგანს მარიამ ანტონის ასულს ცინცაძეს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა აღნიშნულ ეკლესიას ამ თედორობის კვირის შედეგში თავისი ხელით ნაწარმოები ერთი წყვილი დაფარნა, ღირებული ს ა მ მ ა ნ ე თ ა დ და 50 კაპ. ღვთის მადლი ეწეოდეს მას და მიმბაძავთ მისა.

პატივისცემით მღვდელი ლანჩხუთის ნათლის-მცემლის ეკლესიისა **ბესარიონ ხომერიკი.**

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჭედლიძე.**

გამომცემელი **იოსებ ლეჟავა.**

ქ. ქუთაისი, სტამბა „ძმობა“ კაზაკოვის შესახვევი, სახლი № 17